პარასკევი 16 ნოემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 253

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 8 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის მოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელ—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან შუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

13 ამ თვისას უდროოდ გარდაიცვალა

## მარიამ აბრამის ასული თხინვალელისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **მღვდელი ქრისტესია თხინვალელი**, დედა მიცვალებულისა **ალექსანდრა ზაქარიას ასული ბარნოვისა**, დედამთილი **სოფიო გიორგის ასული თხინვალელისა** და და მისი **ეკატერინა აბრამის ასული მაჭარაშვილისა**. პანაშვიდები ყოველ დღე დილის 12 და საღამოს 6 საათზე (მამადავითის ეკლესია, საეკლესიო სახლი). დაკრძალვა—შაბათს 17 ნოემბერს ხსენებულ ეკლესიის გალავანში. წირვა დაიწყება 9 საათზე. (2—423—1)

**ოლგა და ელენე გიორგის ასულნი, ლევან, ნიკოლოზ, ვახტანგ და მინადორა ერგემლიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—მამის, მეორენი—სიმამრის და უკანასკნელნი—ბიძაშვილის

## გიორგი მურძაყანის ძის ერგემლიძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზედ საღამოს 6 საათზედ ბასიანის შესახვევი, საკ. სახ. № 3. გამოსვენება კვირას, 18 ნოემბერს, დილის 10-ს საათზედ, კალოუბნის ეკლესიაში; დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (3—422—1)

### ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში.

პარასკევს, 16 ნოემბერს, 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ნინო ჩხეიძის მონაწილეობით**

ცნობილი პიესა ალ. სუმბათაშვილისა

## ღალატი

ისტორ. ლეგენდა 5 მოქმ. გრ. ყიფშიძის თარგ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ა. კარკარეთელი, ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა, ჩერქეზიშვილისა, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.**

შაბათს, 17 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება

### „ჯიოკონდა“

ოპერა 4 მოქმ. 5 სურათ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი კორსაკოვა, ლიუბინსკაია, მარკოვა, სპეშნევა; ბ-ნნი გავრილოვი, გრინევი, კუზმინი, ბავლოვსკი, საიანოვი, სიბირიაკოვი.

კაპელმეისტერი: **გოლდინგინი.** დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი:** 18 ნოემბერს დილით იაფად—„ჩერევიჩკი“, საღამოთი—«ლაკმე» და ბალეტი «სიზმარი ბილის შემდეგ».—მზადდება დასადგმელად «ასე სთქვა მეფემ» და «ანა კარენინა». (—6)

## ქართველ ლიტერატორთა ჯგუფი

მოკლე ხანში გამოსცემს სუფა-კაზმულ ნაწარმოების **კრებულს** და სთხოვს ყველას, ვისაც სურს ამ კრებულში მონაწილეობის მიღება, თავისი ნაწარმოები გამოგზავნოს შემდეგის ადრესით: ტფილისი, Головинскій проспектъ № 33 д—ру Ивану Гомартели ან: Гановская ул. д. № 6, Константину Туманову. (5—2)

## კავშირი

**ტრაქტირების. სამიკიტნოებისა და ღვინის სარდაფის**

პატრონებისა ამით აცხადებს თავის ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ქართულ გაზეთებში მოხსენებული ცნობა შესახებ იმისა, ვითომ ზემოხსენებულ კავშირს თავის კრებაზე დაედგინოს გაფიცულ მოსამსახურეთა მოთხოვნილების ერთის ნაწილის დაკმაყოფილება, სიმართლეს მოკლებულია, არც ერთი პატრონი არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ვინაიდან შესაძლებელი არ არის იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

მუშაობა მიდის იმ პირობით, რომელიც კავშირმა შეიმუშავა და რომელიც გამოცხადებული იყო გაზეთებში. შეცვლილ იქმნა მხოლოდ ერთი მუხლი: 12 ს. მაგივრად შემოღებულ იქმნა 10 საათის სამუშაო დღე. (4—417—3)

ექიმი
**ივ. გომართელი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—18)

ქ. ქუთაისში
**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**
იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისის და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს სველებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ზიგრის** მეტოდით. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—12)

ექიმი
**ი. ი. გოკიელი**
სპეციალისტი: **ვენერიული სიფილისის, კანის და ნერვების სისუსტის** ავადმყოფობისა. მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5½—7½ ს. მიხაილოვის ქუჩა. № 113 ალექსანდრეს სასტუმროს გვერდით. (12—406—7)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათ მდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25. (0—224)

ექიმი
**გ. ნ. მაგაკიანი**
იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას.** სპეციალური ექიმია **კუჭის და ნაწლავებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. კავკანიძისა (25—წლ.

**ქ ო ბ ულ ე თ შ ი**
ექიმი
**ნ. გ. მრევლოვი,**
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის, ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—4)

ქ. ქუთაისში
**ექიმი ჯაფარიძე**
იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—6.—11)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**
იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ელექტრონის და რენტგენის**
**სამკურნალო კაბინეთი**
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—6.—46)

კბილის ექიმი
**ი. ზ. კანდელაკი**
დაბრუნდა ტფილისში და განაახლა კბილით ავადმყოფებთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვა ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს ახალ ბინაზე რაზიეზჟი ქუჩაზე, № 11, სახლი ბაპალოვისა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 9—2 ს. და 4—7 ს. (25—407—7)

ქ. ქუთაისში
**ექიმი ბადრიძე**
ყვავილის და სხვა გადამდებ სენის აცრა. ავადმყოფებს იღებს დილით 8—12 საათზე და საღამოთი 4—5 ზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (25—კვ.—9)

**კბილის ექიმი**
ბალარჯიშვილი-მათეშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—3, საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—420—2)

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**
**ნ. ა. ატენიანცი**
იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—18)

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.
ტელეფონი № 481.
**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**
**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.
**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე 1½—3 საათ.
**იანჩევსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.
**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
**აზბაზოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე 12½—1½ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.
**იოზეფოვიჩი**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარ სკ. კვირა 1—2 ს.
**ბოგოვსკი**—შ ნაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.
**გორადლევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე 11½—1½ საათ.
**ინბერი**—ქალთა ავად დროებით წავიდა.
**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 ს.
**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.
**გორონსცოვისა**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.
**პივარსკი** — | **ჩუდნოვსკი** — | კლინიკური ანალიზი.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—59)

**ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი**
(კიროჩნის ქუჩა)

კვირას, 18 ნოემბერს **ა. ა. იმრონშენკო**, ტფ. რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი, წაიკითხავს ლექციას ქიმიაზე.

ისტორიული მიმოხილვა. ფიზიკური და ქიმიური თვისებები ლითონისა რამდენ ლითონს შოულობენ წელიწადში ლითონის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

ლექციას ფიზიკურ და ქიმიურ მაგალითებით აუხსნიან. (2—1)

დაღონებულნი ცოლი და შვილები, სიძე და რძალი განსვენებულის **აარონ იანქოშვილისა** უღრმეს მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც მათ პატივი სცა და ახლო გაში უბედურს დღეებში. (1)

## ტფილისი, 16 ნოემბერი.

სახელმწიფო სათათბიროს სხდომა 13 ნოემბერს იდილიით დასრულდა. კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი უქვეშევრდომილესის ადრესისა ერთხმივ მიღებულ იქმნა და ეს საოცნებო ერთსულოვნება ხალხის წარმომადგენლებმა რუსეთის საერო ჰიმნის გალობით დაამშვენეს. თვალ ჩაუწვდენელი უფსკრული, ისტორიულად გათხრილი რუსეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მიმდინარეობათა შორის, სასტიკი და საშინელი უფსკრული უეცრივ ამოივსო. შეურიგებელმა მტრებმა, თითქოს პირველად ნახეს პირისპირ ერთმანეთიო, დაივიწყეს თავისი მოპირდაპირეობა, ჯერ კრძალვით შეიცქერდნენ ერთმანეთს, შემდეგ პირდაპირ გაუსწორეს თვალი და ბოლოს სიყვარულის ექსტაზით აღგზნებულთ საერთო საგალობელში ჩამოაყალიბეს თავისი ერთსულოვნება. 13 ნოემბრის სხდომა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, იგი დიდმნიშვნელოვანია როგორც პირუთვნელი დახასიათება ეხლანდელ სახალხო წარმომადგენლობისა, როგორც გამოხატულება ეხლანდელ პოლიტიკურ კონიუნქტურის, როგორც ატესტაცია რუსეთის პარლამენტის თითოეულის ფრაქციისა და როგორც აღმნიშვნელი იმ გზისა, რომელსაც დაადგება იგი თავის საადმშენებლო მოღვაწეობაში.

კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტის ერთხმივ მიღებას ხალხის წარმომადგენლებმა ხანგრძლივი კამათი წაუმძღვარეს წინ: ტონი მოკამათეებს ოქტომბრისტების ლიდერმა, ცნობილმა გუჩკოვმა მისცა და მისგან დაწყებული მელოდია თითქმის არავის დაურღვევია, თუმცა თითოეული ფრაქცია, თავის ორატორების პირით, გულწრფელობის სამოსელში ეხვეოდა და „უშიშრად“ აღნიშნავდა თავის პრინციპიალურ განსხვავებას სხვა ფრაქციებისაგან. თითქოს წინასწარი შეთანხმება ჰქონდეთო ორატორებს, თითქოს ანსამბლის დარღვევისა ეშინოდეთო, არც ერთი მათგანი არ ივიწყებდა, რა ადგილას უნდა გაჩერებულიყო კამათი, სადამდე უნდა აწეულიყო განსხვავება და სად უნდა ჩაეგდო რგოლი, რათა ამ რგოლს შემდეგ ჰარმონიულად გადაება ერთმანეთზე არსებული უთანხმოებანი.

გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე 13 ნოემბრის სხდომა დაიწყებოდა, საპარლამენტო ფრაქციებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ამ დღეს ხალხის წარმომადგენლებს ხმა მაღლა და გადაჭრით უნდა გამოეცხადებინათ ერთის მხრივ თავისი აზრი ეხლანდელ რუსეთის სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე, ხოლო მეორეს მხრივ კი საკანონმდებლო მუშაობის მიმართულებაზე. ყველანი მომზადებულნი გამოცხადდნენ, არ გამოცხადდა მხოლოდ სოციალდემოკრატიული ფრაქცია. რატომ? უეჭველია იმიტომ, რომ მას საქვეყნოდ თავის აზრის გამოსათქმელად საკმაო ძალა არ შესწევს, ხოლო დიპლომატობა კი თავის შესაფერად არ გაჩნია. ოქტომბრისტების ლიდერმა გუჩკოვმა პირველმა აღნიშნა, რა ხასიათის დიპლომატია იყო ამ დღეს საჭირო. პოლიტიკურ სინდისის დასამშვიდებლად—შინაურული გულწრფელი აღსარება მოწინააღმდეგეებისა ერთმანეთის წინაშე, ხოლო პოლიტიკურ აქტის ჩასადენად კი—ვითომც სულგრძელობისაგან წარმომდინარე დათმობა იქ, სადაც უამისოდ აუცილებლად უნდა დარღვეულიყო იდილია ერთსულოვნებისა და თანხმობისა, ჩვენ კონსტიტუციონალისტები ვართო, განაცხადა ოქტომბრისტების სახელით მათმა ბელადმა, მაგრამ ადრესის პროექტში ეს სიტყვა არ შეგვაქვს, რადგან ყველა ასე არ უცქერის რუსეთის ეხლანდელ წესწყობილებას და ჩვენ თავს უფლებას არ ვაძლევთ ჩვენი აზრი ნაძალადევად მოვახვიოთ სხვებს თავზე: ეს სახელმწიფოებრივ მეცნიერების თეორიული საკითხიაო. ასეთის განცხადებით გუჩკოვმა ჯადოსნურის სისწრაფით დაიმონავა კადეტების პარტია, რომლის სახელითაც გუჩკოვზე არა ნაკლებ ცნობილმა ბელადმა მილიუკოვმა მყისვე უპასუხა: ჩვენი ადრესი—პირველ სათათბიროს ადრესია, მაგრამ პარტიას მაინც შესაძლოდ მიაჩნია მხარი დაუჭიროს ოქტომბრისტების პროექტს, ერთი ესაა უმჯობესად მიგვაჩნია „კონსტიტუცია“ როგორმე მოხსენებული იყოს, რადგან აქ—ამ დარბაზში არა, მაგრამ იმის გარეთ ისე შეიძლება განმარტონ ჩვენი ადრესი, ვითომ იგი კონსტიტუციას უარ-ყოფდესო. მილიუკოვმა ამასთანავე დასძინა, ამ აზრით კადეტები პროექტის შესწორების წინადადებას შემოვიტანთ და გარდა ამისა მხარს დავუჭერთ იმ შესწორებას, რომელსაც პოლონელები მოითხოვენო. პოლიტიკურ სოლიდარობის იდილიას ცოტა ჩრდილი წამოადგა თავს, მაგრამ იგი მაინც იმდენად დამატყვევებელი გარეგნობისა იყო, რომ პურიშკევიჩიც კი დაიმონავა რამოდენადმე. მემარჯვენეების სახელით პურიშკევიჩი რუსეთის ისტორიას ჰფურცლავს, დავიწყებულ წარსულში ჰპოვებს რუსეთში კონსტიტუციონალიზმის დამყარების ცდას, მაგრამ ჰგონია, რომ იგი ჯერ დამყარებული არაა და თხოულობს ადრესში შეტანილი იყოს სიტყვა „თვითმპყრობელობა“, რათა აღინიშნოს, რომ სათათბიროში მარტოოდენ ისინი კი არა სხედან, ვისაც ეხლავე საჭიროდ მიაჩნია რუსეთისათვის კონსტიტუცია, არამედ ისინიც, ვინც წინააღმდეგს ფიქრობს. კადეტების ლიდერის, მილიუკოვის, სიტყვით წახალისებული პოლონელები გულ-წრფელად აცხადებენ, რომ თუ ადრესის პროექტში შეტანილი არ იქმნა აზრი სამართლიან ეროვნულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ, უამისოდ პოლონელებს არ შეგვიძლიან ჩვენად ჩავთვალოთ, იგიო, მაგრამ რათა მათი განცხადება არავის არ დარჩენოდა საწყენად და იდილიის დარღვევისათვის წამოყენებულად, ჩქარობენ დასძინონ, რომ სრულიად ეთანხმებიან პროექტის პირველ პოლიტიკურ ნაწილს.

მხოლოდ მშრომელთა ჯგუფის ორატორმა არ მისცა ბანი სათათბიროს წევრთა ამ ორ-აზროვან სოლიდარობის ფერხულს, მხოლოდ ამ ორატორმა სცადა ჩაეშალა ეს ფერხული თავის გაბედულის წინადადებით, რომელიც მოითხოვდა გამორკვეული ყოფილიყო, ვისი წარმომადგენლები, რუსეთის მცხოვრებთა რა ნაწილისაგან არჩეული დეპუტატები სთხზავდნენ ამ პროექტს 3 ივნისის კანონის მიოხებით, მაგრამ ეს წინადადება მკრელ დანასავით ჩაესვათ გულში პოლიტიკურ იდილიის მოტრფიალეებს და ორატორის მსხრავი ხმა საერთო აღშფოთების ყვირილ-ხვივილის ზღვაში ჩაიძირა, ჩაიძირა უქმად და უნა-

ყოფილ.

ეს იყო 13 ნოემბრის საპარლამენტო დღის პირველი აქტი. ამ აქტში სათათბიროს ყველა ჯგუფი მონაწილეობას იღებდა, გარდა სოციალ-დემოკრატებისა. ყველა მონაწილე, გარდა მშრომელთა ჯგუფისა, განძრახ იბრუებდა გონებას, განძრახ ითრობდა გულს პოლიტიკური იდილიის განსახორციელებლად. ყველა ნათლად ჰხედავდა იმ დღევანდელ პოზიციის შინაგან წინააღმდეგობას, მაგრამ ყველანი ჰმალავდნენ ამას ერთმანეთისაგან, ყველანი შეგნებულად დასცურავდნენ დიპლომატიის ცბიერებაში. მარტო უკიდურესმა მემარჯვენეებმა ვერ გაატანეს თავი ბოლომდე, მარტო იმათ მოითხოვეს, ვთქვათ ადრესში „თვითმპყრობელობა“, მაგრამ ამ სიტყვით თვითოეულმა ჩვენგანმა თავისი პოლიტიკური აზრი იგულისხმოსო, ე. ი. ყველამ მოვიხადოთ ნიღაბი და ყველამ აქვე და ეხლავე პირდაპირ ვთქვათ, რომ ჩვენი სოლიდარობის იდილია ფუჭია და უშინაარსოვო. მაგრამ რაც ამ წინდაუხედავის განცხადებით მემარჯვენეებმა წაახდინეს, იმისი ნაყოფი ბოლოს თვითვე მოიმკეს კადეტების სასიხარულოდ: ოქტომბრისტებმა იუკადრისეს ასეთი გულახდილი ორჭოფობა, შავი კენჭები ჩაუყარეს თვითმპყრობელობის ჩამატებით პროექტის შესწორებას, ხოლო კადეტებმა კი ეს გარემოება ხელზე დაიხვიეს და თავის მნიშვნელობის განსადიდებლად გამოიყენეს. კადეტების სახელით მილიუკოვმა საჩქაროდ წაიღო უკან წინადადება პროექტის შესწორებისა „კონსტიტუციის“ ჩამატებით, მოხერხებულად დაივიწყა ისიც, რომ ცოტა ხნის წინად მან პოლონელებს აღუთქვა, ყოველ ღონისძიებით მხარს დაგიჭერთო, და კამათის დასასრულ რაოდენადმე გაბზარული სოლიდარობა ისევ გაამთელა. თუ არ კადეტების ეს სხარტული და მოხერხებული შეტრიალება, ადრესის პროექტს უარყოფის განსაცდელი მოელოდა: რაკი კადეტებმა და ოქტომბრისტებმა მემარჯვენეთა შესწორება უარჰყვეს, მემარჯვენენი და ოქტომბრისტები კადეტების შესწორებას უარჰყოფდნენ, ხოლო ოქტომბრისტები და მემარჯვენენი კი ოქტომბრისტების—ტექსტს და სანაქებოდ დაწყებული და ნავარუდევი იდილია სულერთიან ჩაიშლებოდა. სულგრძელობით და ინიციატივით კადეტებმა ხელოვნურად იხსნეს სათათბირო განსაცდელისაგან, მით თავის საპარლამენტო ძალის დემონსტრაციაც გამართეს, სძლიეს ოქტომბრისტებსაც, მემარჯვენეებსაც, ნაციონალურ ჯგუფებსაც და სათათბიროს ცენტრადაც გადიქცნენ. ამის შემდეგ ოქტომბრისტები ისე აბუჩად ვეღარ აიგდებენ კადეტებს, მიუხედავად მათის რიცხვ-სიმცირისა, როგორც აქამდე: ნამდვილად შიში, ხოლო გარეგნობით კი მადლობის გადახდა სულგრძელობისთვის დაავალებს ოქტომბრისტებს, მომავალში უფრო კადეტებისკენ მიიწიონ, ვიდრე მემარჯვენეებისკენ.

კადეტების „პატრიოტულ“ თავგანწირულებით ან, უკეთ რომ ვთქვათ, პრინციპების განწირულებით, გულ-დია მემარჯვენენი სულ-ერთიან დაიბნენ და, რათა საბოლოოდ არ შეწყვეტილიყო მათი კავშირი ოქტომბრისტებთან, რათა საბოლოოდ არ დაჰკარგოდათ ყოველივე გავლენა სათათბიროზე, სამაგალითო აჩქარებით აცხადებენ ჯერ უარს საბოლოო კენჭის ყრაში მონაწილეობაზე და შემდეგ თანხმობას ოქტომბრისტების პროექტს დაუჭირონ მხარი. ამგვარად მისცეს ხელი-ხელს მემარჯვენეებმა ოქტომბრისტებს, ოქტომბრისტებმა კადეტებს, შეერთებულის ძალით გაჰრიყეს განზე მშრომელთა ნაციონალური ჯგუფები და ერთად დაამგვირგვინეს პოლიტიკურ სოლიდარობის იდილია მშრომელ ხალხისა და დაჩაგრულ ერთა ინტერესებისადმი გულგრილობით. ეს იყო 13 ნოემბრის საპარლამენტო დღის უკანასკნელი აქტი და ესაა პროლოგი მომავალი საკანონმდებლო მოღვაწეობისა სათათბიროში.

ეს დღე ისტორიული მნიშვნელობისაა. აქ ჩვენ მხოლოდ ამ მნიშვნელობის მთავარი ძარღვი გამოვარკვიეთ. შემდეგში ამ საპარლამენტო დღის სხვა საინტერესო და საგულისხმო მხარეებსაც აღვნიშნავთ.

## სახელმწიფო სათათბირო და საბჭო.

—:—

**უქვეშევრდომილესი ადრესი**. ადრესის პროექტი შეიმუშავა და წარუდგინა სათათბიროს ოქტომბრისტთა ფრაქციამ. სალაპარაკოდ ჩაეწერა 50 ზე მეტი დეპუტატი. სოც.-დემოკრატები დარბაზში არა ჩანან. ოქტომბრისტთა სახელით ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა გუჩკოვმა. ის ამტკიცებდა, რომ ადრესის მირთმევაში სათათბიროს ერთი პირი უნდა ჰქონდეს, რომ ადრესი ისეთი პოლიტიკური აქსიომაა, რომ შეუძლებელია ამ საქმეში პარტიული დაყოფა, დაქსაქსვა და უმრავლეს-უმცირესობა. „ჩვენ დავალებული ვართ—სთქვა მან—იმ ხელმწიფის წინაშე, რომელმაც გაბედულად ზურგი შეაქცია ბნელ წარსულს და გვიწყალობა 17 ოქტომბრის მანიფესტი. ეს ვლი ორი წელიწადი გვმართებს და ჯერაც ვერ გადაგვიხდია. 17 ოქტ. მანიფესტი ხელმწიფის მხრით ნებაყოფლობითი უარყოფაა თვისის შეუზღუდველ უფლებებისა; ჩვენ იგი კონსტიტუციად მიგვაჩნია, მაგრამ ეს სიტყვა ადრესში იმიტომ არ შევიტანეთ, რომ არ გვინდოდა ჩვენი აზრი სხვისთვის მოგვეხვია თავზე.“

მემარჯვენეთა სახელით ეპისკოპოსმა მიტროფანემ მოითხოვა, რომ ადრესში უეჭველად ჩართულ იქმნას სიტყვა „თვითმპყრობელო ხელმწიფევ“. „კადეტების“ მხრივ ილაპარაკა მილიუკოვმა. მან სთქვა: „ჩვენს პარტიას არც შემოაქვს თვისი ადრესი, ვინაიდან, ჯერ ერთი, მან იგი უკვე შეიტანა პირველ სათათბიროში, (მემარჯვენეთა შორის ყვირილი და ხმაურობა ასტყდა) და მეორე—მას ეხლა ადრესის შემუშავება არ შესაძლოდ მიაჩნია და არც საჭიროდ. ჩვენ განვიხილეთ ეხლანდელი ადრესი და გადავწყვიტეთ მხარი დავუჭიროთ მას“. შემდეგ მილიუკოვმა არსებითად განიხილა არსებული პოლიტიკური წეს წყობილება, აღნიშნა, რომ 17 ოქტ. მანიფესტმა ძველი წყობილება კი არ განაახლა, არამედ ახალი შექმნაო და მოითხოვა, რომ ადრესში ჩამატებულ იქმნას სიტყვა „კონსტიტუცია“ (ხმაურობა და აყალ-მაყალი). მან აღნიშნა, რომ „3 ივნისის კანონმა გასთელა უფლება, გაამატონა ძალა და ადრესში ესეც უნდა იქმნას აღნიშნული. ჩვენი პარტია მხარს დაუჭერს პოლონელებს, რომელნიც შესწორებას მოითხოვენ და არასოდეს არ დაეთანხმება მემარჯვენეებს, რომელთაც უნდათ ველიკორუსულ პატრიოტიზმის გაბატონება. ეს არის ასირიული პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ არასდროს არ მივემხრობით (მარცხნივ ტაში, ცენტრში—დუმილი, მარჯვნივ უკმაყოფილება)“. მილიუკოვის შემდეგ ილაპარაკა პურიშკევიჩმა, რომელმაც მოიგონა ისტორია კონსტიტუციონურ მოძრაობისა რუსეთში და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რუსეთში მრავალმა მეფემ სცადა კონსტიტუციის შემოღება, მაგრამ ვერას გახდნენ, ვინაიდან ამას წინ უდგებოდა ხალხი რომელსაც კონსტიტუცია არ უნდოდა და არც ეხლა უნდაო. უკანასკნელ დროს რევოლიუციამ კინაღამ დაღუპა რუსეთი, მაგრამ მას დროზე მიეშველა ხელმწიფე, რომელმაც 3 ივნისის კანონით უკან დასწია რუსეთი და ამით დაამტკიცა თვითმპყრობელობა. ორატორმა მოსთხოვა ოქტომბრისტებს, რომ მათ მემარცხენეებს ზურგი შექციონ და ადრესში შეიტანონ სიტყვა „თვითმპყრობელი“. ზომიერ მემარჯვენეთა სახელით ბალაშევი მიემხრო პურიშკევიჩს და განაცხადა, რომ არც მათ პარტიას სწამს კონსტიტუცია, ამიტომ სიტყვა „თვითმპყრობელი“ უეჭველად უნდა ჩაემატოს ადრესშიო.

პოლონელები, მაჰმადიანები, ლიტველები და ებრაელები თხოულობდნენ, რომ ადრესში აღნიშნულ იქმნეს არარუსთა უფლებების შეზღუდვა და საჭიროება მათ ეროვნულ უფლებათა დაკმაყოფილებისა. შრომის ჯგუფმა განაცხადა, რომ ისინი მხოლოდ პირველ სათათბიროს მიერ შედგენილ ადრესს დაუჭერდნენ მხარს. პოლონელთა „კოლოს“ სახელით ილაპარაკა დმოვსკიმ. მან განაცხადა, რომ პოლონეთის „კოლო“ მხარს უჭერს ადრესის პირველ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ სათათბიროს წევრნი ერთგული ქვეშევრდომნი არიან ხელმწიფისა, მაგრამ „კოლო“ ვერ მიემხრობა ადრესის მეორე ნაწილს, ვინაიდან მას აკლია პოლონელთა პროგრამის მთავარი ძარღვი —არსებული ეროვნული თანასწორობა. თუ პროგრამამ მკაფიოდ და ნათლად არ აღნიშნა საკითხი ეროვნებათა შესახებ, მისი ახსნა-განმარტება ორნაირად შეიძლება. დმოვსკი თხოულობდა, რომ ადრესში ჩართულ იქმნას შემდეგი სიტყვები: „დაკმაყოფილებულ იქმნას სამართლიანი მოთხოვნილებანი რუსეთში მცხოვრებ ერებისა“ (მარცხნივ ტაში). ლიახნიცკიმ განაცხადა, რომ ეხლანდელი სათათბირო ნამდვილ ხალხის წარმომადგენელი არ არის (ხმაურობა) და მოითხოვა, რომ ადრესს ჩაემატოს შემდეგი სიტყვები: „სახელმწიფო სათათბირო დიდის მწუხარებით აუწყებს თქვენს იმპერატორებითი უდიდებულესობას, რომ იგი სალამს გიძღვნით მხოლოდ ხალხის მცირე ნაწილის სახელით, რომელმაც თვისი წარმომადგენელნი 3 ივნისის კანონის წყალობით აირჩია, (ხმაურობა, სტვენა და ყვირილი). ამ კანონით მთავრობამ დაარღვია ძირითადი კანონები და წარმომადგენლები მოუსპო ხალხის უმეტეს ნაწილს.“ (საშინელი ხმაურობა). ლიტველთა სახელით ბულატი მიემხრო დმოვსკის მიერ შეტანილ შესწორებას და მოითხოვა იმის აღნიშვნა, რომ საჭიროა არარუსთა უფლებების დაკმაყოფილებაო.

ოქტომბრისტმა კაპუსტინმა პასუხი გასცა პურიშკევიჩს და ამტკიცებდა, რომ რუსეთი მომზადებულია კონსტიტუციისთვის, რომელიც შემოღებულ იქმნა 17 ოქტომბრის მანიფესტით. ორატორი შეეხო აგრეთვე მემარცხენე პარტიებს, რომელნიც პარლამენტარიზმის შემოღებას თხოულობენ და ის აზრი გამოსთქვა, რომ [illegible] პარლამენტარიზში ნაადრევთ.

[illegible] მიემხრო დმოვსკის სიტყვას და შესწორებას. მეორედ ილაპარაკა ეპისკოპოსმა მიტროფანემ, რომელმაც ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: „თვითმპყრობელობა ღვთისაგან არის ნაკურთხი. ვინ გაბედავს და ვინ ააცდენს მას ისტორიულ გზას? ვინ გაბედავს რუსეთის თვითმპყრობელის უფლებათა შეზღუდვას? ჩაიხედეთ თქვენს გულში და სინიდისის ქვეშ სთქვით, განა შესაძლებელია, რომ ძალა და უფლება თვითმპყრობელ ხელმწიფის გარდა სხვას ვისმეს ჩაუვარდეს ხელში? (მარჯვნივ ტაში). მიტროფანეს მხარი დაუჭირა მარკოვმა, რომელმაც სთქვა, რომ სათათბიროს უფლება დამყარებულია მეფის ნებაზე და არა ხალხის ნებაზეო. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მაკლაკოვმა „კადეტთა“ პარტიის სახელით. მან გაარკვია შინაარსი 17 ოქტომბ. მანიფესტისა, მოითხოვა ადრესში „კონსტიტუციის“ ჩატანა და შეეხო წარსულ რევოლიუციას. სხვათა შორის, მან სთქვა: „ჩვენ ვი[...]ცით, რომ რევოლიუციამ მრავალი შეცდომა ჩაიდინა (ტაში მარჯვნივ), მაგრამ ვისაც არ ესმის მათი აუცილებლობა, მას არ ესმის ისტორიაც. ეს შეცდომა იყო შურისძიება ჩვენის წარსულისა გარდამავალ აბსოლიუტიზმს ყოველთვის თან მოსდევს დემაგოგია. ეხლა კი, როცა ეს დემაგოგია გათავდა, ჩვენ უნდა ვაღიაროთ მისი აუცილებლობა“.

კრება განახლდა $8^1/_2$ საათზე. მშვიდობიან განახლების ფრაქციის სახელით ეფრემოვმა განაცხადა, რომ ეს ფრაქცია ადრესს მიემხრობაო.

ბობრინსკიმ პასუხი გასცა მემარცხენე პარტიებს და სთქვა, რომ „3 ივნისის კანონი უფლების დამარცხება და ძალის გაბატონება კი არ არის, არამედ იგი არის გამარჯვება მეფის სინიდისისა და დამარცხება უსულო კანონისა“. ბოლოს ორატორმა სთქვა: სანამ სიტყვა „კონსტიტუცია“ არ გაირეცხება იმ ტალახის და სისხლისაგან, რომელიც მას მიეცხო, ჩვენ ამ სიტყვას ვერ მივიღებთო (მარჯვნივ სიხარული და ტაში ისმის). დეკანოზმა როზნატოვსკიმ ინატრა ის დრო, როცა რუსეთის ორთავიანი წმინდა არწივი გასწიწკნის შინაურ და გარეშე მტრებს. ნიკოლოვიჩმა დაიწყო ლაპარაკი 6 მილიონ ჯვარცმულ და დატანჯულ ებრაელთა სახელით და მიემხრო დმოვსკის. მას მრავალ-ჯერ შეაწყვეტინეს ლ[...]

## ფელეტონი

### კოოპერაციები და მათი მნიშვნელობა მუშათა მოძრაობაში.

(შემდეგი *)

კულონი, უწინდელი მომხრე კოოპერაციებისა, ეხლა მის მოსისხლე მტრად გადაიქცა. „მე ვამტკიცებ,—ამბობდა ის მოწინააღმდეგებთან პოლემიკის დროს,—რომ ასოციაციის არსებობა დღევანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელია, და ის, ვინც ხალხსურჩევს ამნაირის საშუალებით განაახლოს საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ძალიან მავნე და დამღუპავ აზრებს ავრცელებს.“ კოოპერაციების დამცველად ცეზარი დე-პაპი გამოვიდა. ამ შესანიშნავმა მოღვაწემ თავდაპირველათვე განაცხადა, რომ მხოლოდ კოოპერაციების შემწეობით არსებულ წეს-წყობილების ძირითადი შეცვლა ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ მის უდიდეს მნიშვნელობას კი მაინც აღიარებდა. მისი საპოლემიკო წერილები განსაკუთრებით კულონის წინააღმდეგ იყო მიმართული. კულონმა განაცხადა, ჯერ-ჯერობით დრო არა მაქვს, რომ ვრცელი პასუხი გავცე ჩემს მოწინააღმდეგეს და ცეზარ დე-პაპის მიერ მოყვანილ საბუთების დარღვევას შემდეგში ჰპირდებოდა მკითხველებს. მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა, ბერტრანის სიტყვით, საზოგადოება მოუთმენლად ელოდა კულონის წერილებს, მაგრამ მან ხმა აღარ ამოიღო და დე-პაპის წინააღმდეგ აღარ გაილაშქრა.

კოოპერატიულ მოძრაობის მოწინააღმდეგეებმა ვერ გაიმარჯვეს. სოციაციების დაარსების სურვილმა კვლავ გაიღვიძა. განსაკუთრებით დიდი სამსახური გაუწია მათ აღორძინებასა და განვითარებას „ინტერნაციონალმა“, რომელიც ენერგიულად გამოექომაგა ბრძოლის ამგვარ საშუალებას. წევრები ინტერნაციონალისა მთელს ქვეყანას მოედვნენ და სოციალისტური აზრები მოჰფინეს სწორეთ ამ დროს დაარსდა ლიეჟში ახალი სახალხო ბანკი, რამდენიმე ხნის შემდეგ კი კოოპერატიული მომხმარებელი ამხანაგობა, რომლის თავმჯდომარეთაც ს ჟამბის გამგე კარმანნი აირჩიეს. 1867—1869 წლებში კიდევ მრავალი კოოპერაციები დაარსდა, მაგრამ მათს შორის აღსანიშნავია ერთი: „მუშათა ასოციაცია საჭმელ პროდუქტების შესაძენად“. ამ კოოპერაციების შესახებ ბერტრანი შემდეგს ცნობებს გადმოგვცემს. ამხანაგობის მართვა-გამგეობის საქმე ჩაუბარებიათ პასუხის-მგებელ გამგესთვისა და ზედამხედველ კომიტეტისთვის, რომელიც თხუთმეტის კაცისაგან შესდგებოდა. შემოსავალს ამნაირად ანაწილებდნენ: ორი მესამედი მიდიოდა მომხმარებელთა სასარგებლოთ, ერთი მესამედი კი ფონდის გასაძლიერებლად. ამ ფონდის დანიშნულებას კი სწავლა-განათლების გავრცელება და მოსამსახურეთა დახმარება შეადგენდა. ამხანაგობის საქმე კარგად მიდიოდა; 1868 წლის მეორე ნახევარში ვაჭრობა 29,166 ფრ. აღემატებოდა, 1869 წლის პირველ ნახევარში კი 50.845 ფრ. შეადგენდა. ცხრილი, რომელიც ბერტრანს მოჰყავს თავის წიგნში და ჩვენც მოვიყვანთ, ნათლად გვიხსნის თვალ-წინ ამ ამხანაგობის მდგომარეობას.

| | გაიყიდა. | | | მოგება. | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაკალეური პროდუქტ. | 31388 ფრ. | 41 სნ. | | 5710 ფრ. | 15 სნ. | |
| ნახშირი | 3249 „ | 62 „ | | 588 „ | 21 „ | |
| ფურნე | 13179 „ | 19 „ | | 2477 „ | 98 „ | |
| მანუფ. საქ. | 331 „ | 06 „ | | 57 „ | 29 „ | |
| შუამავლები | 2697 „ | 15 „ | | 131 „ | 85 „ | |
| სულ | 50845 ფრ. | 43 სნ. | | 8968 ფრ. | 48 სნ. | |
| საზოგადო ხარჯი | | | —— | 5316 „ | 72 „ | |
| | | | | წმინდა შემოსავალი 3651 ფრ. | 76 სნ. | |

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტი მოგება ბაკალეურ პროდუქტებსა და პურს მოუტანა, შემდეგი კი ნახშირს, ე. ი. პირველი ადგილი ისეთს პროდუქტებს უჭირავს, რომლებიც ადამიანის უპირველეს საჭიროებას შეადგენს.

1868 წელს 26 აპრილს დაარსდა კიდევ ახალი კოოპერატიული ამხანაგობა „La Fourmi“. რადგანაც ბოლო ხანში ჩვენში დიდი სურვილი დაბადა კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსებისა, მე მგონია, ურიგო არ იქნება, თუ მთლად მოვიყვან იმ წესდებას, რომელიც საფუძვლად დაედო 1868 წელში დაარსებულ ამხანაგობას, ეს წესდება, რა თქმა უნდა, დღეს ბევრში გამოუსადეგარია, ადგილობრივ პირობებისა და დროის მიხედვით, მასში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს, ბევრიც ჩაემატოს, მაგრამ სანიმუშოთ მაინც მისი მთლად მოყვანა საჭიროთ მიმაჩნია.

### წესდება.

სახელი და ვადა.

§ 1. ამხანაგობას ჰქვია „La Fourmi“ მისი მოქმედების ვადა განუსაზღვრელია.

**მიზანი და ორგანიზაცია.**

§ 2. ამხანაგობას აზრადა აქვს თავის წევრთა ცხოვრების მატერიალურ და ინტელექტუალურ პირობათა გაუმჯობესება; მას იმედი აქვს, რომ ამ ორ მიზნს მიაღწევს:

1) პურის დამზადებისა და სანოვაგის გაყიდვის დროს შუამავლების მოსპობით.

2) კონფერენციებისა და რეფერატების გამართვით იმ საკითხების შესახებ, რომელთა გამორკვევაშიაც მუშები პირდაპირ არიან დაინტერესებულნი.

§ 3. წევრთა რიცხვი განუსაზღვრელია.

§ 4. ამხანაგობა თავის საქმეებს აწარმოებს იმ თანხით, რომელიც კოოპერატორთა საწევრო გადასახადით შესდგება, ან კიდევ სესხით.

§ 5. თვითეულმა წევრმა უნდა შეიტანოს თვეში თითო ფრანკი იქამდის, სანამ თავის ხვედრს 100 ფრანკს არ გადაიხდის.

§ 6. ამხანაგობას სესხის აღება შეუძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებით ამისთვის მოწვეულ კრების უმრავლესობამ თანხმოება განაცხადა.

§ 7. სესხში ამხანაგობამ თავის დღეში 5% მეტი არ უნდა აძლიოს.

§ 8 ამხანაგობის საქმეებს განაგებენ გამგეობისა და ადმინისტრაციის საბჭოები.

**გამგეობის საბჭო.**

§ 9. გამგეობის საბჭო შესდგება შვიდი კაცისაგან: 2 მდივანია, 2 კასსირი, ერთი კასსირის თანაშემწე და 3 ეკონომი.

**ადმინისტრაციის საბჭო.**

§ 10. ადმინისტრაციის საბჭო ცხრა კაცისაგან შესდგება: 2 მდივანია, 2 ხაზინადარი, 2 ზედამხედველი და 3 წევრი პრეზიდენტი.

**ვაჭრობის შესახებ.**

§ 11. სანოვაგის ყიდვა და პურის დამზადება ევალება პასუხის-მგებელ მსახურს; გამგეობისა და ადმინისტრაციის საბჭოები ვალდებულნი არიან ვაჭრობას თვალყური ადევნონ.

**გამგეობის საბჭოს უფლებანი.**

§ 12 გამგეობის საბჭო და პასუხის-მგებელი მსახური იკრიფებიან ორ კვირაში ერთხელ მაინც საქმეებზე მოსალაპარაკებლად.

§ 13. გამგეობის საბჭოს უფლება აქვს: 1) საქონელი იყიდოს ხოლმე და ფასები დადოს, 2) უკიდურეს შემთხვევაში მოიწვიოს ხოლმე ან ადმინისტრაციის საბჭო და ან მთელი ამხანაგობა.

§ 14 გამგე და პასუხის მგებელი მსახური ერთად შესავალ-გასავლის ანგარიშს ადგენენ და ყოველ-თვიურ კრებ[...] მოქმედობის შესახებ ანგარიშს აბარებ[...]

§ 15. მდივნები განაგებენ ყოველ-ნ[...]ირ მიწერ-მოწერის საქმეს, უგზავნიან თ[...]ვიანთ წევრებს უწყებებს და საზოგადო[...] სამწერლო საქმეს აწარმოებენ.

§ 16. კასსირს ყოველ საღამოს მიაქ[...] მთელი დღის ნავაჭრი, მსახურს კი აძლე[...] ხოლმე ხელ-წერილს.

§ 17. კასსირის თანაშემწე კასსირს ე[...]მარება და, როცა საჭირო იქნება, იმ[...] ადგილს იჭერს ხოლმე.

§ 18. ეკონომების მოვალეობას მხ[...]ლოდ საქონლის ყიდვა შეადგენს.

**ადმინისტრაციის საბჭოს უფლებანი.**

§ 19. ადმინისტრაციის საბჭო აკეთე[...] ყველაფერს, რაც კი სხდომებს შეეხებ[...] სახელდობრ: სწერს კანდიდატებს, იღ[...] საწევრო გადასახადს, აწყობს საუბრებ[...] თვალ-ყურს ადევნებს გამგეობის საბჭ[...] მოქმედებას. მას შეუძლიან მოსამსახურენი დაითხოვოს, თუ ისინი ცუდათ მო[...]ქცევიან.

§ 20. მდივნები სამწერლო ნაწილს [...]ნაგებენ: სწერენ ოქმებს, უწყებებს, აქ[...] მიწერ-მოწერა და სხვა.

§ 21. ხაზინადრები საწევრო ფულს [...]დევინებენ, შეაქვთ ანგარიში წიგნებ[...] და დივიდენდებს ანაწილებენ; ხაზინა[...]რები ვალდებულნი არიან კასირს ჩაა[...]რონ ხოლმე შემოსავალი და სამაგიერ[...] კვიტანცია გამოართონ.

§ 22. ზედამხედველებს ევალებათ თა[...] ყური ადევნონ, ეთანხმება თუ არა ე[...] მანეთს ხაზინადრების, კასსირებისა და [...]სუხის-მგებელ მსახურის ანგარიში[...] ამას გარდა მათ მოვალეობას შეადგ[...] გამორკვევა იმისი, მართალია თუ [...] წლის ყოველ მეოთხეზე წარდგენილი [...]ხსენება; თუ, ვინიცობაა, მასში შეც[...]

*) იხ. „ისარი“ № 252.

...რაკი. როდიჩევი არ ალაპარაკეს. ...ლაქლევმა როდიჩევს ფიცის გამტეხი უწოდა, რის გამო დარბაზში საშინელი ...ურ-ხაური და აყალ-მაყალი ასტყდა. ...ლომონოსოვი თხოულობდა, ჩქარა გაათავეო ლაპარაკი და „რუსის ხელმწიფეს რუსულ სათათბიროს სახელით რუსული მადლობა უთხარითო". ობრაზოვი, რუმიანცევი, ტიმოშკინი, იურკევიჩი, კოვალენკო და სხვა მემარჯვენენი თხოულობდნენ ადრესში სიტყვა „თვითმპყრობელის" შეტანას. პეტროვო-სოლოვო აცხადებს, რომ ოქტომბრისტებს საკუთარი დროშა აქვთ და პურიშკევიჩს არ გაჰყვებიანო.

შესვენების შემდეგ 11 საათზე კრება განახლდა. ოქტომბრისტები კურაკინი, მარკოვი მე-II და სხვები თხოულობდნენ, რომ ადრესი უცვლელად იქმნეს მიღებული. კადეტმა შინგარევმა მემარჯვენეებს რევოლიუციონერები უწოდა, რის გამო ისევ აყალმაყალი და ხმაურობა ასტყდა. უვაროვმა ილაპარაკა წინააღმდეგ არა რუსებისა და მოითხოვა, რომ სათათბირომ უარჰყოს მათი თხოვნა შესახებ იმისა, რომ ადრესში შეტანილ იქმნას სიტყვები „დაკმაყოფილება ეროვნული უფლებათა ყველა ერისა". ბოლოს ილაპარაკა მომხსენებელმა პლევაკომ, რომელმაც მოუწოდა სათათბიროს, ერთი პირი იქონიეთ და ერთხმად მიიღეთ ჩვენი ადრესიო.

დაიწყო კენჭის ყრა. 30 მემარჯვენემ მოითხოვა, რომ ახდილი კენჭის ყრით გადასწყდეს საკითხი თვითმპყრობელობის შესახებ. სათათბირომ ხმის უმრავლესობით უარჰყო ეს წინადადება. ფარული კენჭის ყრის 212 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 146, სათათბირომ უარჰყო მემარჯვენეთა წინადადება იმის შესახებ, რომ ადრესში ჩართულ იქმნას სიტყვა „თვითმპყრობელი." გრაფმა დორერმა განაცხადა მემარჯვენეთა სახელით: რადგან სათათბირომ უარჰყო ჩვენი წინადადება, ამიტომ მემარჯვენენი კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მივიღებთო. მილიუკოვმა განაცხადა „კადეტთა" ფრაქციის სახელით: რადგან სათათბირომ უარჰყო მემარჯვენეთა წინადადება, ამიტომ ჩვენი ფრაქცია ემხრობა ადრესს და უკან მიაქვს თავისი შესწორებაო (ტაში ცენტრში და მარცხნივ). სინადინომ ზომიერ მემარჯვენეთა სახელით განაცხადა, რომ ისინი მხარს უჭერენ ადრესს. სათათბირომ უარჰყო პოლონელთა შესწორება. მემარჯვენენი გავიდნენ დარბაზიდან. ლიახნიცკის შესწორება შესახებ იმისა, რომ 3 ივნისის კანონით მთავრობამ შეზღუდა ხალხის უფლებანიო, სათათბირომ 151 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 98 ხმისა არ განიხილა და უარჰყო. ამის გამო ბულატმა განაცხადა, რომ შრომის ჯგუფი კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებსო (ტაში ცენტრში). სათათბიროს მდივანმა ამის შემდეგ წაიკითხა ტექსტი ადრესისა: „ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ კეთილ ინება მოგვსალმებოდა ჩვენ, მესამე სათათბიროს წევრებს და ჩვენის მომავალის საკანონმდებლო შრომისათვის უზენაესი ლოცვა-კურთხევა გამოეთხოვა უფლისაგან. მოვალეობად ვრაცხთ განვუცხადოთ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას რუსეთის სამეფოს უმაღლეს მპყრობელს, უერთგულესი გრძნობა, და მადლობა რუსეთის მიმართ სახალხო წარმომადგენლობათა უფლების ბოძებისათვის, რომელიც განმტკიცებულია საიმპერიო ძირითად კანონებით. გჯეროდეთ, მეფეო, ყოველი ჩვენი ღონე, ყოველი ჩვენი ცოდნა და გამოცდილება მიმართულ იქნება მაზედ, რომ განმტკიცებულ იქმნას თქვენის მეფურის სურვილით ბოძებულ 17 ოქტომბრის მანიფესტით რუსეთის განახლების საქმე, დამშვიდებულ იქმნეს სამშობლო, განმტკიცდეს კანონიერი წეს-წყობილება, განვითარდეს სახალხო განათლება, გაუმჯობესდეს საერთო კეთილდღეობა, განმტკიცდეს დიდება, ძალა და განუყოფლობა რუსეთისა და მით გამართლდეს ჩვენდამი ნდობა მეფისა და ქვეყნისა". ამ დროს მემარჯვენეთ დაიწყეს ყვირილი: „ადექით, ადექითო!". ოქტომბრისტთა ერთი ნაწილი ფეხზე წამოდგა. თავმჯდომარე თხოულობს, რომ ყველანი დასხდნენ, ვინაიდან იკითხება პროექტი საპასუხო ადრესისა და არა სალამი ხელმწიფისა სათათბიროსადმი. დმოვსკიმ პოლონელთა „კოლოს" სახელით ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ „კოლო" უერთდება ადრესის პირველ ნაწილს, მაგრამ რადგან სათათბირომ არ მიიღო პოლონელთა სამართლიანი შესწორება, ამიტომ „კოლო" კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებსო.

სათათბირომ მიიღო ზემოხსენებული ადრესი. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და დაიწყეს „ურას" ძახილი. მემარჯვენეთ ეროვნულ ჰიმნის მღერა დაიწყეს. ხანგრძლივ გალობისა და „ურას" ძახილის შემდეგ სათათბირო დაიშალა ღამის პირველის ნახევარზე.

---

...მები აღმოჩნდა, ზედამხედველები ვალდებულნი არიან ყველაფერი ადმინისტრაციის საბჭოს შეატყობინონ. მათ შეუძლიათ მდივნების შემწეობით მთელი ამხანაგობის საზოგადო კრება დანიშნონ, თუ, რასაკვირველია, ეს საჭირო აღმოჩნდება.

§ 23. წევრნი—პრეზიდენტები ვალდებულნი არიან კამათს მიმართულება მისცენ ხოლმე და სხდომების მიმდინარეობასა და წესდების შესრულებას თვალყური ადევნონ.

**მოსამსახურეთა შესახებ.**

§ 24. პასუხის-მგებელ მსახურს საზოგადო კრება ნიშნავს, დანარჩენ მოსამსახურეებს კი—გამგეობის საბჭო.

§ 25. პასუხის-მგებელი მსახური მაღაზიებს უდგებს თვალ-ყურს, ადგენს შემოსავალ-გასავალის წიგნს; აცნობებს საბჭოს, რა მდგომარეობაში იმყოფება მაღაზია. ითხოვეს მოსამსახურეებს, თუ ისინი ცუდათ იქცევიან, და მათ მაგიერ ნიშნავს ახლებს, თუმცა ამის შესახებ მაშინვე ორივე საბჭოს მდივნებს უნდა შეატყობინოს.

**მოგების შესახებ.**

§ 26. მოგება ნაწილდება შემდეგის წესით: 75% ეძლევა ამხანაგობის წევრებს დივიდენდათ, პროპორციონალურად იმისა, თუ რამდენისას ვაჭრობენ, დანარჩენი 25% მიდის საქონლის შესაძენად და ვალების მოსაშორებლად.

§ 27. დივიდენდები იმ წევრებს, რომელთაც საწევრო გადასახადი სრულ ად არ გადაუხდიათ, ხელში კი არ ეძლევათ, არამედ საწევრო გადასახადათ ერიცხებათ.

**წევრთა შესახებ.**

§ 28. ვისაც ჰსურს ისარგებლოს იმ უპირატესობით, რომელსაც ამხანაგობა იძლევა, უნდა წევრათ ჩაეწეროს, შეიტანოს საწევრო გადასახადი, თუნდა ერთი ფრანკი და მიიღოს წიგნი.

§ 29. ის პირი, რომელიც 6 თვის განმავლობაში ხვედრს საწევრო ფულს არ გადაიხდის, ამხანაგობის წევრად აღარ ჩაითვლება.

§ 30. ვისაც ჰსურს ხმის უფლება მიეცეს და კამათში მონაწილეობა მიიღოს, უნდა გადაიხადოს არა ნაკლებ ხუთი ფრანკისა.

§ 31. სანოვაგის ყიდვის დროს მაღაზიიდან აძლევენ განსაკუთრებულ ნიშნებს, რომლებზედაც აღნიშნულია ნაყიდ საქონლის ღირებულება. ეს ნიშნები არსებობს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი დივიდენდი ერგება თვითეულ წევრს.

§ 32. თუ წევრს თავისი ნაწილი გააქვს, შეტანილ ფულიდან ამხანაგობა 5 ფრანკს უჭერს.

§ 33. ამხანაგობამ ექვსი თვის განმავლობაში უნდა დაუბრუნოს წევრს ფული.

§ 34. თუ ამხანაგობის წევრი მოკვდა, მემკვიდრეებს არავითარი უფლება არა აქვთ ამხანაგობას რამე მოსთხოვონ; 6 თვის შემდეგ მათ მიეცემათ მხოლოდ ის ფული, რომელიც გარდაცვალებულის წიგნში იქნება აღნიშნული დივიდენდებით ერთად, გარდა იმ ხუთი ფრანკისა, რომელიც § 30 მოხსენებული.

**არჩევნები.**

§ 35. ორივე საბჭო ერთის წლით ირჩევა.

§ 36. წელიწადში ორჯელ ირჩევენ ორივე საბჭოს ახალ წევრებს.

§ 37. არჩევნები იმართება იანვრისა და ივლისის პირველ კვირასა.

§ 38. გამგეობისა და ადმინისტრაციის საბჭოების წევრად მხოლოდ იმას შეუძლიან იყოს, ვისაც კარგი ზნეობის სახელი აქვს დამსახურებული და ვინც სასამართლოში არა ყოფილა მიცემული.

§ 39. რვა დღის წინად არჩევნებამდე იმართება წინასწარი სხდომა დასახელებულ კანდიდატების შესახებ მოსალაპარაკებლად.

**სხდომების შესახებ.**

§ 40. საწევრო ფულის მისაღებად, ანგარიშების მოსასმენად და ახალ წევრების ჩასაწერად ყოველ თვე სხდომები იმართება.

§ 41. დივიდენდს სამს თვეში ერთხელ არიგებენ.

§ 42. სხდომის დღე და საათი რეგლამენტში უნდა იყოს აღნიშნული. მასში არავითარ ცვლილების შეტანა არ შეიძლება საზოგადო კრების ნებადაურთველად.

§ 43. ჩვეულებრივ კრებების გარდა შეიძლება გაიმართოს ხოლმე არა ჩვეულებრივი კრებებიც. ამ კრებების დადგენილებებს ძალა ექნებათ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მას, თუ უწყებები 48 საათით ადრე დაეგზავნათ.

**დათხოვნა და ლიკვიდაცია.**

§ 44. ყოველნაირი წინადადება, რომელსაც აზრადა აქვს წესდების შეცვლა ხელ-მოწერილი უნდა იყოს არა უმცირეს ოცის წევრისა და მიღებულ უნდა იქმნეს კრების უმრავლესობის მიერ.

§ 45. ამხანაგობას დათხოვნა შეუძლიანთ იმ შემთხვევაში, თუ ხელ-მოწერილ კაპიტალის ერთი მეოთხედი დაიკარგა. ამხანაგობას კანონის ძალით დაითხოვენ მხოლოდ მაშინ, როდესაც კაპიტალის ნახევარი დაიკარგება.

ასეთია წესდება იმ კოოპერატიულ ამხანაგობისა, რომელიც 1868 წელს დაარსდა.

**არ. ჯ—შვილი.**

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბავი

✦ **გამოძიება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო.** ილია ჭავჭავაძის ვერაგულ მკვლელობის გამო გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა. როგორც ამბობენ, გამომძიებელს ბევრი რამ საყურადღებო გამოურკვევია. იმედი აქვთ, რომ მკვლელობას სავსებით გამოაშკარავებენ.

✦ **ბრძანება გაფიცვის შეჩერების შესახებ.** ტფ. პოლიცმეისტერმა გუშინ ბრძანებანი დაუგზავნა ბოქაულებს და, თანახმად გენერალ-გუბერნატორის განკარგულებისა, დაავალა, დაუყოვნებლივ შეაჩერონ სასმელ დუქნებისა, სარდაფებისა, ტრაქტირებისა და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების გაფიცვა. პოლიციამ სავაჭროების პატრონებს უნდა ჩამოართვას სიები გაფიცულ მუშებისა და წარუდგინოს პოლიცმეისტერს. პოლიციელებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ გაფიცულებმა ძალადობა არ იხმარონ.

✦ **ალექსანდრე ეპისკოპოსის დაკრძალვა.** გუშინ, 15 ნოემბერს, შიომღვიმის მონასტერში დაკრძალეს გვამი ეპისკოპოს ალექსანდრესი. ხალხი ბლომად დაესწრო. გუშინ ქალაქიდან ბევრნი წავიდნენ დაკრძალვაზე დასასწრებლად. ჩვენმა რედაქციამ გუშინ სოხუმელ ქართველებისაგან მიიღო სამგლოვიარო დეპეშა ეპისკოპოს ალექსანდრეს გარდაცვალების გამო.

✦ **ქართული წარმოდგენა** დღეს, პარასკევს, სახაზინო თეატრში ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება ცნობილი პიესა ალ. სუმბათაშვილისა „ღალატი". ადგილების ფასი დაკლებულია. ზეინაბის როლს შეასრულებს ნინო ჩხეიძე.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** მომავალ კვირაში ი. აბულაძე განაგრძობს ლექციების კითხვას შემდეგ თემებზე: „სიტყვათა წარმოების კანონები. სუფიქსები. მიმართულების მაჩვენებელნი. ნასესხები სიტყვები."

✦ **ტფ. გ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. საგენ.-გუბერნატოროში ცხოვრება აეკრძალა გორელს გიორგი ბაკურაძეს. პოლიციის მოთხოვნილების და სავალდებულო დადგენილებათა არ შესრულებისათვის სამ-სამი თვით დააპატიმრეს ი. ხარატოვი და ნიკ. ბოგალიშვილი.

✦ **ბებუთით დაჭრა.** გუნიბის ქუჩაზე, სომეხთა სასაფლაოს მახლობლად 14 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, ტფ. მოქალაქეს ოჰანეზ ხეჩუმოვს მიუახლოვდა ვიღაც კაცი, ჩაჰკრა მუცელში ბებუთი და გაიქცა. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **უცაბედად დაჭრა.** 14 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, გოგოლისა და ბატარეინი ქუჩების კუთხეში რევოლვერით ფერდში დასჭრეს ტრამვაის მეკანტორე ნინო ჭიჭინაძე. როცა დაჭრილს გამოჰკითხეს, განაცხადა, ბატარეინის ქუჩაზე შევნიშნე ორი მოჩხუბარი; როცა მიუახლოვდი, ერთმა მეორეს რევოლვერი ესროლა და უცაბედად მე დამჭრესო.

✦ **სასიკვდილოდ დაჭრა.** 14 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, არშაკუნის ქუჩაზე უცნობმა კაცმა რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა რკინის გზის დარაჯი ლაფშენკოვი. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს. უცნობი მიიმალა.

✦ **პურის ფასის გამორკვევა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ რამდენიმე დღე კიდევ სცადა პურის გამოცხობა იმის გამოსარკვევად, მართლა ზარალობენ მეპურეები თუ არა. განსაკუთრებულმა კომისიამ იყიდა ფქვილი და თავის თვალ წინ გამოაცხობინა. 1116½ გირვანქა ფქვილი კომისიას უყიდნია 56 მან. 64 კაპ., ხოლო გაუყიდნია 55 მან. 84 კაპ., გამოდის, რომ მეპურეები არა თუ იგებენ, ზარალობენ. როგორც ვწერდით, ქალაქის გამგეობამ ამ ორი კვირის წინადაც სცადა პურის გამოცხობა. მაშინ 1000 გირვანქა ნაყიდ ფქვილზე 7 მანეთამდე წმინდა მოგება გამოვიდა.

✦ **ქალაქის თავი შიო მღვიმის მონასტერში.** ტფ. ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი გუშინ შიო მღვიმის მონასტერში წავიდა ეპისკოპოს ალექსანდრეს დაკრძალვაზე დასასწრებლად.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** დღეს, 16 ნოემბერს, პუშკინის სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის დარბაზში მ. ი. თამამშევი განაგრძობს ლექციას აღმოსავლეთ ერების სარწმუნოებათა ისტორიის შესახებ.

✦ **საბჭოს კრების გადადება.** 15 ნოემბრისთვის განზრახული კრება ქალაქის საბჭოსი აღარ შესდგა და გადაიდო 19 ნოემბრისათვის.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციას, ქუჩებში არ დასდგან ხოლმე მაყლები წვადების შესაწვავად.

✦ ლაზრევის ქუჩაზე მცხოვრებ მოქალაქეს ტერ-არუთინოვს 13 ნოემბერს საღამოთი შეუვარდნენ შეიარაღებული მძარცველნი, რომელთაც მუქარით გაიტაცეს ფული და ნივთები 170 მანეთისა და მიიმალნენ.

✦ გრუზინსკი ქუჩაზე 14 ნოემბერს საღამოთი გიგა თაზაზოვს სახლში შეუვარდა ოთხი მძარცველი. ავაზაკებმა 100 მანეთის ნივთები გაიტაცეს და მიიმალნენ.

✦ ლაზარევის ქუჩაზე 14 ნოემბერს დუშეთის მაზრის მცხოვრებმა სიმონ ღვინაშვილმა მთვრალმა შვიდ ადგილას დაიჭრა თავი.

✦ 14 ნოემბერს საღამოთი ოლგას ქუჩაზე პოლიციელმა დააპატიმრა უცნობი კაცი. გზაზე უცნობი გაექცა პოლიციელს, რომელმაც ორჯელ მიაყოლა თოფი, მაგრამ ააცდინა. უცნობი წყნეთის ქუჩაზე დააპატიმრეს და აღმოჩნდა ნარმან სარქისოვი, რომელსაც ჯიბეში ორი ვერცხლის საათი აღმოაჩნდა.

✦ ერევნის მოედანზე 13 ნოემბერს საღამოთი შესულა მოხელე ხარამანოვთან პოლიციის ცნობებით, არამ მარტიროსოვი და სდომებია ყალბ სამ მანეთიანის დახურდავება. მარტიროსოვი დააპატიმრეს. მარტიროსოვი წინა დღითაც ამგვარადვე შესულა მოხელესთან და მოტყუებით ყალბი სამ მანეთიანი დაუხურდავებია. მარტიროსოვის სახლში საეჭვო ვერა ნახეს.

✦ 14 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ტფ. პოლკის ყაზარმებთან ბორჩალოელმა სომეხმა მიკირტიჩ ოჰანეზოვმა ორჯერ რევოლვერი დაახალა თავის მეზობელ ტიგრან ტერ-დავიდოვს, მაგრამ ააცილა. როცა ოჰანეზოვს გამოკითხეს მიზეზი, განაცხადა ჯალაგ ოღლში ტერ-დავიდოვმა მომიკლა ძმა და რძალი, ამიტომ მე სამაგიერო უნდა გადამეხადნაო. პოლიციამ ტერ-დავიდოვი დააპატიმრა.

✦ ნარაშენის ქუჩაზე 13 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, მიმავალ ქალს ელისაბედ პეტროსიანცისას წამოეწია ყმაწვილი კაცი 13—14 წლისა, დაჰკრა მუშტი ზურგში, გამოჰგლიჯა საფულე 16 მანეთით და მიიმალა. ქისაში ყოფილა ოქროს ჯაჭვი სამი ძვირფასი ქვით.

✦ ნიკოლოზის მოედანზე სარდაფში მოვაჭრე გიორგი ხიზაბავრელმა პოლიციას გამოუცხადა, 13 ნოემბერს, 12 საათზედ, ღამე, შეუვარდა ექვსი შეიარაღებული კაცი, წაართვა დახლიდარს იასონ კობახიძეს 60 მან. და ნივთები და მიიმალა.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქალაქის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, ქალაქის თავის მოადგილემ ი. ფანცხავამ, თავმჯდომარემ [illegible], წინადადება მისცა, ფეხზე ადგომით პატივი [illegible] ახლად გარდაცვალებულ სომეხთა კათოლიკოსის მკირტიჩისა და [illegible] ალექსანდრეს ხსოვნისათვის. [illegible] სწყვიტა სამძიმრის [illegible] ეჩმიაძინსა და შიო მღვიმის მონასტერში ეპისკოპოს ლეონიდეს სახელობაზე. გარდა ამისა სომეხთა ეკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი კათოლიკოზის სულის მოსახსენებლად, ხოლო მართმადიდებელ ეკლესიაში ალექსანდრე ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად. ალექსანდრე ეპისკოპოსის დასაფლავებას დაესწრება ქალაქის გამგეობის წევრი.

✦ გენერალ იაზიკოვის გენერალ-გუბერნატორობის დროს ქუთაისის გუბერნიიდან, როგორც ამბობენ, ადმინისტრატიულ წესით გაგზავნილა ცივ ადგილებში არა ნაკლებ 3000 კაცისა. ახალი გუბერნატორი, როგორც ხმა დადის, დიდი მომხრე არ არის თურმე ადმინისტრატიულ გადასახლებისა.

✦ იმ დუქნის პატრონი, სადაც გასცარცვეს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოხელე, გუბერნატორის განკარგულებით დააპატიმრეს. გარდა ამისა დაპატიმრებულია ის ებრაელიც, რომელსაც ექსპროპრიატორებმა ამას წინად 26 მანეთი წაართვეს და რომელმაც პირველად ჩვენება მისცა, რომ ორი დაპატიმრებული გიმნაზიელი მერვე კლასისა ასათიანი და ცხაკაია ჩემთან მოსული ექსპროპრიატორები არიანო, და მერე ჩვენება შესცვალა.

✦ 15 ნოემბრისთვის დანიშნულია დავით ღულაძის საქმე ოლქის სასამართლოში. დავით ღულაძეს ჰბრალდება ის, რომ მის სახლის გაჩხრეკის დროს მუთაქაში პოლიციამ წინასწარ დასმენით აღმოაჩინა ფოსტა-ტელეგრაფის ბეჭედი.

✦ 11 ნოემბერს ქალაქის თეატრში შეიკრიბნენ მოქალაქენი, თანახმად ქალაქის გამგეობის მოწოდებისა. კრებას უნდა გამოეძებნა საშუალებანი ექსპროპრიატორებთან საბრძოლველად. კრება დილის 11 საათზე იყო დანიშნული და 12-ზე შედარებით მცირე რიცხვი მოქალაქეთა შეიკრიბა. კრება გახსნა ბ-მა ფანცხავამ და აუწყა დამსწრეთ, რომ გუბერნატორმა კრების მოწვევის ნება დაგვრთო იმ პირობით, რომ ბაასის დროს საგანს არ გადავცდეთ და, გარდა ამისა, გუბერნატორის აზრით, ერთად-ერთი საშუალება ცარცვა-გლეჯის წინააღმდეგ ის არის, რომ სახლის პატრონებმა გაიჩინონ მეეზოვეები და ხელი შეუწყონ პოლიციას მათ შეპყრობაში. შემდეგ ამისა სერ. ჯაფარიძემ კრების ყურადღება მიაქცია იმას, რომ ცოტა ხალხია შეკრებილი, რადგან განცხადება კრების შესახებ გვიან გამოაკრეს და უმჯობესია მომავალ კვირისათვის გადავდოთო. კრებამ შეიწყნარა წინადადება. გუბერნატორმა უკვე ნება დართო მეორე კრების მოწვევისა და ამ ნაირად 18 ამ თვეს ქალაქის თეატრში კვლავ ითათბირებენ მოქალაქენი.

✦ 13 ნოემბერს ქალაქის საქმეთა საკრებულოს ჰქონია სხდომა, რომელზედაც განიხილეს ქ. ოზურგეთის შუამდგომლობა, რომ ქალაქს 10,000 მანეთის სესხის აღების ნება მიეცეს 1905 და 1906 წლ. განადგურებულ მამულების აღსადგენად; საჩივარი მედუქნეებისა, რომელთაც ქალაქის საბჭომ დიდი გადასახადი დაადო, და სხვა.

## ილია ჭავჭავაძის ფონდი

გთხოვთ ილია ჭავჭავაძის ფონდს ჩვენი წვლილიც მიუმატოთ. შემომწირველთა სია: რკინის გზის ტფილისის სახელოსნოს მუშები დავით ლონდარიძე—2 მ., ვანო ჭავჭავაძე—2 მ., პლატონ გეგენავა 1 მ., მიშა ქეშელაშვილი—1 მ., გიორგი სოლოღაშვილი—1 მ., სიმონ კველიშვილი—1 მ., ზალიკო გლურჯიძე—50 კ., მჭედლიშვილი 50 კ., ზაქარია მაჩაბელი—30 კ., სიმონ შოხუა—20 კ.

ამას გარდა ჯერ-ჯერობით პირველს ხუთს კაცსა და მჭედლიშვილს გადაწყვეტილი გვაქვს ყოველ თვიურად ვიხადოთ ათ-ათი შაური, სანამ შეძლება გვექნება.

ამხანაგობის მონდობილობით **დავით ლონდარიძე.**

---

გიგზავნით რა ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ ჩემ მიერ ნაცნობთა შორის შეგროვილს ერთს თუმანს, მორჩილად გთხოვთ გადასცეთ იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

სია ფულის შემომწირველთა: კორბოულის სამინისტრო სკოლის მოსწავლენი 1 მ., ამავე სკოლის მასწავლებელნი: მღ. სერ. მაჭარაშვილი—2 მ. და ლავ. ხარშილაძე—1 მ., მღ. ილ. მაჭარაშვილი—1 მ., დომ. მაჭარაშვილი—1 მ., ქ ქე ბურჯენაძე—1 მ, მარ. ჩაჩანიძისა—50 კ., ლაზ. ტაბატაძე—50 კ., სარ. მაჭარაშვილი—50 კ., სარ. ჩაჩანაძე—50 კ., ილ. ხარშილაძე—50 კ და ვას. გაფრინდაშვილი—50 კ.

**მღ. სერგო მაჭარაშვილი.**

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ქიზიყი.** კულტურული დაწესებულებანი და სწავლა-განათლება, სადა სამართალია, ჩვენ ქიზიყს უფრო ესაჭიროება და არც აგ ცხვირს დასცემდა, თუ ამ მხრივ ვინმე იზრუნებდა და ქიზიყელთა თვით-ცნობიერებას შემატებდა რასმე. უბედურება ის არის, რომ თვით ქიზიყელნი ამ ნაკლს ვერა გრძნობენ, თუმცა არც სცალიანთ მისთვის, რადგან ქიზიყელთ, ერთის მხრით, შიმშილით კუჭები ეწვით, მომეტებული ნაწილი მცხოვრებთა უნაყოფობით საცოდავად წივწივებს, დღი-დღიურადაც ვერ მიდის იოლას და, მეორე მხრით, მიწის სიმცირე-სიცოტავემ ხომ დამის არის სოფელი სოფელს, მეზობელი მეზობელს სასიკვდილოდ გაამეტებინოს.

არა ერთ გზის მომიწერნია, რომ ქიზიყი წელს საშინლად დაიმშა, მოსავალი არ მოვიდა, სულადისა და ფქვილის უკიდურესი სიძვირეა, შველა და დახმარება ესაჭიროება, მაგრამ ვინ არის გამგონე და დაბეჩავებულ და მშიერ მოძმეთადმა ხელის გამწვდენი!.. ეტყობა, ჩვენ თავს თვითვე უნდა გუშველოთ, თავში ქვა უნდა ვიცეთ და ვიხადოთ და როგორმე, გაი ნაზრობით ახალ მოსავლამდის ტანჯული სულები მაინც გავათრიოთ...

ღვინო მაინც რომ იყიდებოდეს, ჯანი გავარდნოდა, მაგრამ ღლემდის ქიზიყში ერთი სირაჯიც არ მოსულა. განა ყველასა აქვს ღვინო გასასყიდი. ვისაც კი აქვს, ისე დაფოლებულია ღვინის ფასი, რომ გადაღვრა სჯობია გაყიდვას. ადგილობრივი ჩარჩო—მედუქნეები ოთხ-ხუთ თუმანს იძლევიან საპალნეში, ე. ი. 32 ჩაფ ღვინოში, თხლიდან გადაღებულში: ჩვენსკენ ღვინოები თხლეებს მოაშორეს, რადგან სირაჯები ადარსაიდან მოვიდნენ.

რაც შეეხება მიწის ნაკლებულებასა და სიცოტავეს, ეს რომ ქიზიყელთათვის ნამდვილი საჭირბოროტო საკითხია. რომელ სოფელს ნახავთ მეორე სოფელს არ ედავებოდეს მამულის თაობაზე; ეს რაღ გინდათ—რომელ მეკომურსა ნახავ, მეზობელს არ ეჩხუბებოდეს სახნავ—სათეს ადგილებისა გამო. მაგ., ს. ჯუგაანის ხარიანი და უხარო მეკომური ამ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ნიადაგ კვირა სულ ჩხუბსა და დავიდარაბაში არიან მიწების გამო, ერთმანეთს თავზე კაკალს ამტვრევენ, მამულები მეტნაკლებობით, უთანასწოროდ გვიჭირავს და თანასწორ სასარგებლოდ უნდა გავყოთო. როგორც იყო, წელს მოახერხეს და სახნავი მიწები თანასწორად დაიყვეს, მაგრამ რა გამოვიდა! თვითეულ კომლს ორ-ორ სამ-სამი დღისაც ძლივს შეხვდა და ამით რას გახდებოდნენ! დანარჩენი მიწები სახნავად უვარგისი გამოდგა, თუმცა გამოსადეგ მიწებად აქვთ მითვლილი და იხდიან, ვითარცა კარგ მიწებისას. ეხლა არ იკითხავთ, რამდენი სახელმწიფო გადასახადი აწევს კისერზე მაგ. ჯუგაანს?! ხუთასი კომლი ათას ორას თუმანზე მეტს იხდის.

ასეთსავე გასაჭირში არიან სხვა სოფლელნიც და განსაკუთრებით საქობოელნი, ასანურელნი, მაშნაარელნი და სხვანი. ესენი აქამდისაც თავადიშვილების მამულებს იღებდნენ იჯარით. წელს კი შეიძლება ეს ზემოხსენებული ოთხი სოფელი ჩოლაყაშვილისეულ მამულ ჭიაურის მესაკუთრენი გახდნენ. როგორც ვიცით, წელს ეს ჭიაური, რომელიც რამდენსამე ას დესეტინა სახნავს და ტყეს შეიცავს, სახელმწიფო ბანკს დარჩა ვალში. ტფილისის გადმოსასახლებელ კომიტეტს ეს მამული უნდა ბანკიდან შეეძინა და შიგა რუსეთიდან გადმოსახლებულნი დაესახლებიან, მაგრამ ამ განზრახვას წინ აღუდგა გადმა ლაგოდახის ტყის მცველი: „ეს ამოდენა ხანი აქა ვარ ტყის მცველად, მაგ ადგილებით ჯუგაანელნი, საქობოელნი, ასაანელნი და მაშნაარელნი სარგებლობდნენო. ეხლა ეგ ადგილი სხვას რომ დაუთმოთ, ბარემ მაგ სოფლელებს ეძლები დასჭერით და სხვაგან სადმე გადაასახლეთო, რადგანაც უმაგადგილოდ ვერ იცხოვრებენ, სხვა ცხოვრების სახსარი არა აქვსთო“. მგონი ჭერ-ჭერობით გაუჭრია ტყის მცველის სიტყვას და ზემოხსენებულ სოფლების მკვიდრნი კიდეც შეუდგნენ სყიდვის ოპერაციის თადარიგს—მოკლე ხანში სოფელზე ასი თუმნის შეტანას ითხოვენ... რასაკვირველია, არც ის ნაყიდი მამული ჭიაური ეყოფათ, კომლზე ბევრი-ბევრი თითო ჩარექი შეხვდეთ, მაგრამ სულ არარაობას ცალ უღელა ხარი სჯობიაო... ჭიაურის გვერდით სხვა მამულებიც არის სახელმწიფო და შეიძლება ისიც გამოდგეს როდისმე...

ორიოდე სიტყვით არ შემიძლიან არ გაგნობოთ, რომ ძარცვა გლეჯა, კაცის კვლა, აგ კაცობა და ათასგვარი ბოროტ-მოქმედება ჩვენსკენაც ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც სხვაგან. ამიტომ ყველა ფაქტის ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ.

ამ ერთ კვირაშივე გაძარცვეს მახარე მუხასთან ტფილისიდან სიღნაღში მომავალი ორი დილიჟანსი—მგზავრებისათვის ათხმოც თუმნამდე ფული წაურთმევიათ და ბარგი...

**X.**

## რუსეთი

—:—

✦ **ტუსაღების წინააღმდეგ.** ტუსაღების გაქცევა ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, გახშირდა. რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ ტუსაღი გაქცეულა ვაგონიდან მაშინ, როცა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ. ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევია უმაღლეს მთავრობას. სამხედრო სამინისტროს გზათა სამინისტროსთან შეთანხმებით შეუმუშავებია ახალი წესები იმისა, თუ როგორ უნდა გაატარონ ვაგონში ტუსაღები. ამ წესების ძალით, ტუსაღს ვაგონში მოდარაჯე სალდათემმა თვალი არ უნდა მოაშორონ. ორი სალდათი მაინც განუშორებლად უნდა ახლდეს. თუ ტუსაღმა საჭირო ადგილში მოისურვა შესვლა, ეს ორი სალდათი უნდა თან გაჰყვეს. ჯერ უნდა დაათვალიერონ საჭირო ადგილი, დაკეტონ ფანჯრები და მერე შეუშვან შიგ ტუსაღი. ამასთან ერთი გარედ უნდა დადგეს, მეორემ ცოტად კარები გამოაღოს და აქ უდარაჯოს. ეს ვაგონში. როცა ტუსაღი ფეხით არის წასაყვანი, მაშინ, წესდების ძალით, უნდა გააყოლონ უფრო „გონიერი“ და „ჭკუა-მახვილი“ სალდათები, რომ თუ ტუსაღმა გაქცევა დააპირა, მიჰხვდნენ, რომ უკან დადევნებაა საჭირო.

✦ **სასტიკი ბრძანება.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სასტიკი ბრძანება გაუცია გუბერნატორებისთვის, არამც და არამც ნება არავის მისცეთ, განსაკუთრებით გლეხებს, რომ „ნაკაზები“ შეადგინონ და სათათბიროს იმ წევრებს გაუგზავნონ, რომელნიც მემარცხენე პარტიას ეკუთვნიანო.

✦ **მღვდელ-სტუდენტის დაპატიმრება.** მეორე სათათბიროში, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, რამდენიმე მემარცხენე მღვდელი იყო. ყველა ესენი მთავრობამ სასტიკად დასაჯა. ზოგი გაჰკრიჭა, ზოგი დაპატიმრა, ზოგს კიდევ, ვინ იცის, რა არ უყო. ერთმა ამათგანმა მღვ. ბრილიანტოვმა, ბევრის-ვაგლახის შემდეგ, როგორც იყო, მოახერხა ის, რომ ტომსკის უნივერსიტეტში მიიღეს. მაგრამ გაჩნდა თუ არა ბრილიანტოვი ტომსკში, მაშინვე სტაცეს ხელი და ციხეში ჩაამწყვდიეს...

✦ **ქ. ჩხეიძის დაპატიმრება.** 10 ნოემბერს ფინლიანდიის სადგურზე, პეტერბურგში პოლიციამ დააპატიმრა ორი დეპუტატი: კ ჩხეიძე და პოლეტაევი. პოლიციამ ორივენი გაჩხრიკა და მერე გაანთავისუფლა.

✦ **გუჩკოვი მინისტრად.** პეტერბურგში ხმა დადის თურმე, რომ უქვეშევრდომილესს ადრესის წარდგენის შემდეგ ოქტომბრისტების მეთაური ა. გუჩკოვი სტოლიპინის კაბინეტში მინისტრად იქნება მიწვეულიო.

## უცხოეთი

—:—

**გერმანია.** გაიხსნა პრუსსიის ლანდტაგის სესსია. წაკითხულ სეფე-სიტყვიდან სჩანს, რომ გერმანიის მთავრობა უკვე ახლა მომავალში ჰფიქრობს პოლონელთა წინააღმდეგ განზრახულ კანონების განხორციელებას. დეპეშებში ნათქვამია, რომ სეფესიტყვა აღნიშნავს პოლონელთა შესახებ კანონპროექტს, რომელიც შეეხება მათ მამულების იძულებითი გამოსყიდვას გერმანელთა დასასახლებლად. კანონპროექტი ამ სესსიაში უნდა იქმნას განხილული. როგორც სჩანს, მთავრობას იმედი არა აქვს მშვიდობიანად განახორციელოს ეს სასტიკი კანონპროექტი და ამიტომ განზრახვა აქვს მოითხოვოს განსაკუთრებული უფლებანი ადმინისტრაციისთვის: ლანდტაგს წარუდგინება კანონპროექტი მაზნანში განსაკუთრებულ დაცვის წესების შემოღებასა. ამგვარად პოლონელთა წინააღმდეგ გერმანიაშიაც იწყება სასტიკი ომი.

**მაროკო.** არ გამართლდა საფრანგეთის მთავრობის მოლოდინი: მაროკოში მშვიდობიანობის აღდგენა ჯერ კიდევ შორს არის, როგორც სჩანს. დეპეშების სიტყვით, 11 ნოემბერს (ახ. სტ.) დიდი ბრძოლა მომხდარა საფრანგეთის ჯარსა და აჯანყებულ არაბთა შორის; უკანასკნელთა რიცხვი 10 ათასამდე ყოფილა. ბრძოლა რამდენსამე საათს გაგრძელებულა. არაბებს 1200-მდე მოუკლეს და დაუჭრეს. არაბები უკან დაწეულან, მაგრამ ბრძოლა ისევ დაუწყიათ. საფრანგეთის სარდალს ცნობები მოსვლია, რომ ბრძოლა სხვა და სხვა ადგილებსაც დაწყებულა. ნეზაზკისის მხარედან განუწყვეტელი ზარბაზნების გრიალი ისმისო.

**ბერლინი.** 11 ნოემბერს დილით გერმანიის პოლიციამ გასჩხრიკა რესტორანი, რომელშიაც უმთავრესად რუსები დადიოდნენ. აღმოუჩენიათ რუს ეს-ერების საწყობი იარაღისა და არა-ლეგალურ ლიტერატურისა. უნახავთ აგრეთვე ელექტრონული მოტორი, რომლით შეიძლება სახლებისა და ხიდების აფეთქება შორი-ახლოდან. აღმოჩენილი პოლიციამ ორის ფურგონით წაიღო. ამას წინად ბერლინში დაატუსაღეს ვინმე მირსკი და რამდენიმე სხვა ეს-ერი. ამბობენ, აღმოჩენილ საწყობს კავშირი აქვს დაპატიმრებულ რევოლიუციონერებთან.

**ბარცელონა.** დეპეშა იტყობინება დიდ უბედურებაზე: 11 ნოემბერს ხიდიდან მდინარეში გადავარდნილა სწრაფი მატარებელი, ვალენსიაში მიმავალი დილძალი. მგზავრი დაღუპულა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ე. ბვალიშვილი.**


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ფ. ი. ბაბანაზოვი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. აკოფიანი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. ბუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გძელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. ი. გარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
(ს.-ლ.—163)

## ბაღი და სანერგე ავსარქისოვისა.

იყიდება მეტად ხელმისაწვდენ ფასად საზღვარ-გარეთულ, რუსულ და კავკასიურ ჯიშის ხეხილის ხეები. კატალოგები მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

ადრესი: Скра. Ст. З. Ж. Д. Авсаркисову. (20—359—12)

**ქართული წერის**
## დედანი
ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.
ამ დედანთან სახმარებელი
**რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.**
**„არითმეთიკული კრებული“**
ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.
„მეორე ნაწ. კრებულისა“ (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: **Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.**

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—18)

## ვერაზე

ქართულ გიმნაზიის გვერდით **იყიდება** მიწა, ზომით 92 ოთხ.-კუთ. საჟ. მსურველთ ვთხოვ მიმართონ „ისრის“ რედაქციაში დილის 11—2 საათამდე, ხოლო 4—5 საათამდე შემდეგის ადრესით: **Арагвинская ул., д. № 8.**

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილლერის თხზულება

## ფიესკოს შეთქმულება

ათი მოქმედებად, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-კინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ქვათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6.—11)


## მოწოდება

მოგეხსენებათ გაზეთებიდან, რომ ჩვენი სასიქადულო ძამულიშვილის, ილია ჭავჭავაძის ნაშთის დაკრძალვის დღეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსულ დელეგატთა კრება ძოხდა, რომელმაც გადასწყვიტა ქართულ ლიტერატურის და სწავლა-განათლების გასავრცელებლად ილიას სახელობის ფონდის დაარსება.

ამ საქმის მოწყობა მიენდო „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და დაევალა ყოველ ქართულ დაწესებულებათა და კერძო პირთა მიმართვა, რომ ამ ფონდის შესადგენად ყოველ-წლიური, ან ერთდროული წვლილი გამოიღონ.

ასეთს საქმეს, რომელსაც საფუძვლად უძევს ორი დიდად საპატიო მიზანი: დაუვიწყარ მგოსნის სახელის ხსოვნა და ჩვენი ხალხის სწავლა-განათლება, არ შეიძლება ყოველმა ქართველმა შესაფერი ყურადღება არ მიაქციოს.

დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებაში ტრიალებს ის აზრი, რომ შევადგინოთ ერთი ისეთი ფონდი, რომელიც ჩვენს ყოველ კულტურულ საჭიროებას ასე თუ ისე აკმაყოფილებდესო. ეს აზრი, ათასგვარ ძლთხოვნილებას გარდა, იმითაც არის გამოწვეული, რომ ყოველ წლივ სულ ერთსა და იმავე პირებს, თუ დაწესებულებებს ხვდებათ წილად ამ მოთხოვნილებათათვის ფულის გაცემა და ის უმრავლესობა კი, რომელსაც უფრო სამკვიდრო თანხის შედგენა შეუძლიან, სრულიად განთავისუფლებულია. ამისი მიზეზი ის უფროა, რომ ყველას ჰგონია ამისთანა დროს თვალ-საჩინო ფული უნდა გამოვიღოვო, და როდესაც ეს არ შეუძლიან სრულებით აღარაფერს არა სწირავს. გარდა ამისა ზოგი თანაუგრძნობს საქმეს, სსურს თავისი წვლილი მიაწოდოს, მაგრამ ამ მოწოდების პროცედურა, დაუდევრობა, მოუცლელობა და სხვა რამ ასეთი მიზეზები აფერხებს.

სივათა შორის, აი ეს უკანასკნელი გარემოებაც ჰქონდა მხედველობაში ქართველ ქალთა წრეს, რომელიც შესდგა ზემოხსენებულ ფონდის გასაძლიერებლად. ქალთა წრემ თავის შორის ამოირჩია კომისსია ოც და ოთხის ქალისაგან და დაავალა მას ამ ფონდისთვის სხვა და სხვა საშვალებით ფულის მოკრება. ქალთა წრის წევრად შეუძლიან ჩაეწეროს ყველა ქალი, განურჩევლად რჯულისა, რომელმაც წლიწადში საწევრო გადასახადი უნდა იხადოს არა ნაკლებ ერთი აბაზისა. ასეთი მცირედი გადასახადი იმ აზრით არის დანიშნული, რომ ყოველ, თვით უღარიბესს ქალსაც კი შეეძლოს თავის წვლილის შეტანა ჩვენი ხალხის კულტურულად განვითარებისთვის ძოსახმარ ფონდში.

ქალთა წრის კომისსიას გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე, ამ საქმის თანაგრძნობთა დახმარებით ასეთისავე წრეების მოწყობა ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც. ამისათვის აზრად აქვს ზოგან თავისი წევრები გაგზავნოს, ზოგან ადგილობრივ მცხოვრებთ წერილებით მიჰმართონ. რომ ამ გვარად ყველგან ყველას გაუადვილოს ზემოხსენებული ფონდის დახმარება და გაძლიერება. ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება, რასაკვირველია, იმ შემთხვევისთვის არის მიღებული, თუ სხვა და სხვა ქალაქებსა და დაბებში ადგილობრივი მცხოვრებნი თითონ არ ითავებენ ამ გვარ წრეების დაარსებას, თუ სხვა გვარ საშვალებით ფონდის ხელის შეწყობას.

ქალთა წრის კომისია საჯაროდ აცხადებს, რომ მისი წევრები დაურიდებლად მიმართვენ პირადად თუ წერილებით ნაცნობ და უცნობ ოჯახებს, ცალკე პირებს, დაწესებულებებს, სავაჭრო სახლებს და სხვას ზემოხსენებულ ფონდისთვის წვლილის გამოსაღებად, ვინაიდან დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა მათგანი წარბ-შეუხრელად შესწირავს, რის შეწირვაც შეეძლება. შემომწირველთათვის კომისიის წევრებს ხელთ უჭირავთ «ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» ბეჭედ დასმული და თავმჯდომარის და მდივნის მიერ ხელ-მოწერილი საკვიტანციო წიგნაკები და მარკები, იმავე საზოგადოების სახელით.

მივმართავთ ყველა წოდების, კლასის და მიმართულების ქართველს, მოზარდ-მოსწავლე თაობას, ყველას, ვინც უცხო მხარესაც არის გადახვეწილი, მათაც, ვინც თავის ინტერესებზე ზრუნვას ისე ჩაუთრევია, რომ თვის იქით ცხოვრებას აღარ ჰხედავს,—მიმოიხედეთ გარშემო, ადამიანის პირუტყვსავით ძლახვია მარტოოდენ თავის ოჯახზე, თავის თავზე ფიქრი. ბევრია თქვენში მდიდარი, უფრო მეტი კი ღარიბი, მაგრამ არც ისეთი, რომ აბაზობით საზოგადო საქმის დახმარება არ შეეძლოთ. მხოლოდ იმის შეგნებაა საჭირო, რომ **ყველას** პატარ-პატარა წვლილი ბოლოს ერთს დიდს თანხას შექმნის.

ადამიანის ცხოვრების ეკლიანი გზას განვლას, ზნეობრივად სპეტაკ ცხოვრებას, მტრის დახვედრას, მოყვრის შეხვედრას,—ყველაფერს უნდა ნათელი და ეს ნათელია—სწავლა. სწავლა საზოგადო, სწავლა სპეციალური და ეს კი ჩვენს ხალხს უკიდურესად აკლია.

სად არიან, ქალაქის მუშავ, შენი მოზარდი შვილები იმ დროს, როდესაც შენ მთელი დღით გარეთა ხარ გასული? იმათთვის გამართულ უფასო სკოლებში ცოდნის წყაროს ეწაფებიან? არა! ისინი იმ დროს სხვა ბინძურ ადგილებში ათასგვარ ბიწიერებაში იხრწნებიან.

რას იღებ, სოფლის მუშავ, გლეხკაცო, შენი უდიერი შრომის ფასს მოსავალზე რამდენიმე კოდს სიმინდს, ან პურს იმიტომ რომ შენი უვიცი ფიქრით და ხელით ჩაჰკირკიტებ ისედაც არ სამყოფ მიწას და სიმინდის მოვლის იქით შენი ცოდნა არ მიდის.

რას გამლევს, შენ, ათიოდე, თუნდ ასიოდე დღიურის პატრონო თავად-აზნაურიშვილო, შენი დიდი ხარისხი დღეს? იმას, რომ, ყველასაგან ყბად აღებულს, ისევე ღარიბს, ისევე უსწავლელს, გაკითხვაც კი აღარა გაქვს.

სხვის შემაცქერალი, სხვის იმედით მყოფი ხალხი ყოველთვის ამ დღეშა დარჩება. ასეა დღეს, ასე იქნება ხვალაც, თუ სხვა ქვეყნების მაგალითს მაინც არ მივმართეთ. გადაიკითხეთ პატარა წიგნაკი ჩეხელების, ჩვენსავით დამონებულ პატარა ერის მატიცას შესახებ. მთელის წიგნით ვერ გეტყვით ჩვენ იმას, რაც ამ პატარა წიგნაკშია გამოხატული. ეს გეტყვით თქვენ, რა მესძლებია ერის ძლიერ სულოვნობას, რა საქმეებს ჰქნის **კაპეიკი.**

ჩვენც ვითხოვთ მხოლოდ კაპეიკებს, მაგრამ ვითხოვთ **ყველასაგან.**

მოსწავლენო! შესამჩნევია საზოგადო საქმისადმი გულ-გრილობა! თქვენ სწავლობთ, მკვიდრი ყავარჯნით იმზადებთ მომავალ ცხოვრების გზაზე სვლას, უსამართლობასთან ბრძოლას, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ მცირეა თქვენი რიცხვი. უმრავლესობის ბნელ ცხოვრებაში გაითქვიფებით; თქვენ არ გეყოლებათ შეგნებული მებრძოლი ჯარი. მამ მარტო თქვენთვის ნუ ზრუნავთ. კაპეიკები თქვენც მოგვეპოვებათ, ოღონდ კი **ყველამ,** ყველამ გამოიღეთ.

განსაკუთრებით მოგმართავთ ქალებს: ჩაეწერენით წევრებად. კიდევ მეტს გთხოვთ: დღეში ერთი საათი მაინც მოანდომეთ ამ საქმისთვის ზრუნვას, გაიმსჭვალენით ამ აზრით, გაუღვივეთ სხვასაც საზოგადო საქმისადმი მიჩვეული გულ-გრძნობა, ჩაუნერგეთ შიგ კეთილის თესლი, რომლის ნაყოფი დღეს ძის მიერ გამოღებული პატარა წვლილი იქნება, ხვალ კი დიდ ნაყოფიერ ხედ გადაქცეული. ეს არის ყველას ზნეობრივი მოვალეობა და აი კიდევ ვავალებთ.

ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად შემდგარი **ქალთა წრე.**


**ვერავინ** ვერ გააკეთებს უკეთეს პორტრეტს, რომელიც სოცარის მსგავსებით, სუფთა მუშაობით ყველაფერსა სჯობდეს, რაც ამ დარგში დღემდე ყოფილა, ასეთ პორტრეტს, ზომით 10×12 ვერშოკს, კარგ ჩარჩოში ვამზადებ 3 მან. პეტერბურგის გარეშე მცხოვრებთათვის გაგზავნით 4 მ. სამხატვრო მაღ. „სვეტოპისი“ მ. ზ. კალდოპსკისა, პეტერ., სადოვაია, 64—21, ნიკოლსკ. ხიდთან. ფირმა არსებობს 1884 წლ. ტელ. 242—61. საჭიროა აგენტები. საპასუხოდ 7 კ. მარკა. **„სვეტოპისი“** (8—3.—3)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.